ახალი სიტუაციის შემოღება კი ძალიან პასუხ-საცავებია, თუ კაცმა არ იცის, რა გვაქვს და რა არის შემოსა-ლები. შთამომავლობის საუკედურის დამსახურებაც არა სანატრელად მიაჩნია კაცს და ამისათვის ან სულ არ იჩენს კაცი თავის ძალას სამეცნიერო ლიტერა-ტურის ასპარეზზედ, და თუ კინმე მაინცა და მაინც იმდენად გაკადნიერება და ამ შეფერხებას არ მიაქ-ცეს ყურადღებას, მეტალ ნიმუშებს უძღვნის სამ-შობლო ლიტერატურის სამეცნიერო ნაწილს, ან სულ არეულ-დარეული სიტუაციით აღსავს ნაწერე-რების გამოქვეყნებით, სრულებით აძულებს კაცს რაიმე სამეცნიერო ნაწერის კითხვას. ნიმუშები ორივენაირი ნაწერებისა საკმაოდ მოგვეპოვება ქარ-თული ენის სამეცნიერო ნაწრლის მცირე ლიტერა-ტურაში. მუდამაც გაისმის საყვედური მწერლებისადმი მიმართული, უხერხული სიტუაციის ხმარებისათვის; მაგრამ შეცდომების ჩევნება მხოლოდ და გამსწო-რებელი კაცის უყოლობა, საქმეს მაინც არ შვე-ლის და დროვინვა და საყველური მაინც ჩემბა თავის-თავად. ამის გამოისობით ბევრს გული უცრუცდება და უმრავლესობა, მხოლოდ ცნობის-მოყარეობით თუ გადათვალიერებს რაიმე სამეცნიერო წერილს ანუ წიგნს ქართულს ენაზედ, თორემ საზოგადოდ უცუ-რადღებოდ ეკიდება, რადგანაც არ მოელის და არც სჯერა, თუ ქართულს ენაზედ შეიძლება რთული სამეცნიერო საგნის შესახებ რაიმეს დაწერა. ამნაი-რად სამეცნიერო ნაწრლი ჩევნი ლიტერატურისა, ისედაც მცირე, უმრავლესობისაგან წაუკითხავი რჩება, შემდეგ ბევრს, სამწერაროდ, ის რწმენაც კი ებადე-ბათ, რომ ქართულს ენაზედ სიტუა-კაზმული ლიტე-რატურაც არ მოგვეპოება ლორს-შესანიშნავი, თორემ სამეცნიერო ლიტერატურის ხომ სხენებაც არ არისო და ამისათვის საერთოდ ქართული ლიტერატურა, კითაც შენარსს მოკლებული, უსანო და განე-ბის მასალის ვერ მომცემი, მკითხველების რიცხვებაც და უურადღებასაც მოკლებული უნდა იყოს. ასე რომ ქართულ ენაზედ ნაწერ-ნაბეჭდი ბევრისათვის მხოლოდ ხილად წასაკითხავ და ესმა მისელისა სა-რეცელსა ძილისასა წათვლემის ასაჩერებელ მა-სალად ჭრულა. რასაკირველია ჩევნ შორსა გართ ისეთი პირების რწმენის კეშმარიტებად აღიარებასთან, რომელთაც ქართული ლიტერა-ტურა მხოლოდ წიგნების სათაურების გადათვა-ლიერებით იყიან, და უურადღებაც არ უნდა მიეკციოთ იმისთანა პირების აზრს, რომელნიც რაიმე საზოგადო ულავჯობის, კირ-ვარამის მხოლოდ

სოფელი აწინ-დაწინას ცერ გაცილებინ და
მარტო «პრინციპების» მოხსენებაში და საგნის შეჯავ-
რის დაცებაში ჰქონდენ ყოველგვარი გვაროომობ-
რით მოვალეობის შესრულებას. მხარი აუქციოთ
მარტოდ ერთად-ერთი თეორიის ღომასჩებელ პირებს
და, შრომის მოყვარე პირების საერთო მუშაობით,
სასურველია როგორმე ეშველოს საქმეს. თუმცა ბევ-
რია ამ ფრაძლი სიზარმაცის და უალავო სასოწარკვე-
თალებისა ვამო საზოგადო საშრომელ ასპარეზედ
ხელ-აღებული პირი, რომელთათვის აწყვი უფრო-
ლიას სრულებით უიმედო ოცნებად დაუხატავს
ადეილაც შესაძლებელი გაუმჯობესება მომავალში,
მაგრამ მაინც შეიძლება, თუ კი სურვილი სულევს,
ცოტაოდენ პირებში მაინც, საერთო შრომით ისეთი
რამ მოხერხდეს, რომ მით ქართულ სამეცნიერო
ლიტერატურას თვითარებებობასაც და გაუმჯობესო-
ბასაც საჭირო მისაღა შეეძინოს.

რაღანაც სათითოდ ყოველს პირს არ ძალუდა
და დროუ არა აქეს გადათვალიეროს ქართულს ენაზედ
საურადლებო ნაწერი-აბეჭდი მასალა, ამისათვის
საჭიროა როგორმე, შრომის განაწილებით და საზო-
გადო ძალების დახმარებით შეიკრიბოს ქართული ენის
სამეცნიერო ტერმინები და შემდეგ დალაგებულ-
ზეჯუფულად და სახელმძღვანელოდ მოხარუჯვებ-
ლად დაიბეჭდოს. ეს ლექსიკონი (ან თუ გსურთ
უწოდეთ კრებული სამეცნიერო სიტყვებისა) უნდა
შეიცვლეს იმ მასალას, რომელიც საჭიროა სამეც-
ნიერო ლიტერატურაში სახმარად და ისე უნდა იყოს
შედგენილი, როგორც მოითხოვს ქართული ენის
ნიადაგზედ აღმოცენებული აწყვი საჭიროება.

ქართული ენის მოყვარეთ და ამ მიზნის თანამ-
გრძნობელთ დაუხატავთ შემდეგ გეგმას სამუშაოდ
და ამ საზოგადო საშრომები წილის დახადებად.

უნდა გადათვალიერდეს ყოველგვარი ნაპეჭდი
და ზოგიერთი ხელთ-ნაწერი მასალა ქართულს ენა-
ზედ თუ ბევრი არა, თავი-და-თავი მაინც, რომელიც
პირ-ჯა-პირ შეესაბამება სამეცნიერო ლექსიკონის
შინაარს. შინაარსი ამ ლექსიკონისა უნდა იქნეს
შემცევი სავნების მიხედვით.

I. ფილოსოფიური მეცნიერება: ა) ფილოსოფია;
ბ) ფიზიოლოგია; გ) ლოგიკა; დ) ეთიკა და ე) პედაგოგიკა.

II. ლეთის-მეტყველება.

III. ისტორია.

IV. არქეოლოგია.

V. ხელოვნება: ა) ხუროთ-მ-ზადლება; ბ) მხატვრობა;
გ) მექანიკურება.

VI. იურიდიული მეცნიერება: ა) საზოგადოდ მართ-
ლიერება და ეკონომიკური მეცნიერება.

VII. ფიზიკური და მათემატიკური მეცნიერება: ა)
გარსეულავთ-მრიცხველობა; ბ) საკუთრად მათე-
მატიკის ნაწილი: ალგებრა, ტრიგონომეტრია,
არითმეტიკა და სხვ. გ) ქიმია; დ) ბოტანიკა;
ე) მინერალოგია; ვ) გეოგრაფია.

VIII. სამკურნალო მეცნიერება.

IX. სამეცნიერო (პრატიკული) სწავლა. მეცნიერება.
სატექნიკო ხელსამწყო იარაღების და სხვა. და-
სხვა ძოწყობილებათა სახელწოდება.

ყოველი ის სიუკეთება, რომელიც კი შეეხება ზემოთ
ან უსხეულ საგნებს (სახელი არსებოთ, ზმაც და ჩე-
შესრულოც) უნდა იქნეს ამოწერილი ცალკე ამ
სახით: ჯერ ამოიწერებას იფენა, მასვე გვერდით უნდა
მოწერილს წიგნის ანუ ხელთ-ნაწერის სახელი და
გვერდი, რომელზედაც სიტუაცია იყო მოხსენებული,
შემდევ ამ სიტყვასვე უნდა ჰქონდეს გვერდით მა-
წერილი ჩებინაშეილის ქართულ-რუსული ლექსი-
კონის განმარტება ამ თუ მას არა აქეს, ეცეც უნდა
იყოს მოხსენებული. რახაკვირებულია, თუ სიტუა-
ციბინაშეილის ლექსიკონში არის მოქცეული, მას
არც ამოწერა უნდა, მხოლოდ თუ სხვა ჩიმენე-
ლობითა მოყვანილი, მაშინ უნდა იქნეს ამ-წერილი.
თუ სიტუაცია ძნელი მისახელრი და ასახსნელია, მაშინ
უნდა იქნეს ამოწერილი მაელი წინადალება. ამია-
რად ამოწერილი სიტუაციი, თუ ჯვეულ-ჯვეულად იქნე-
ბიან დაყილი, კიშევ უკეთესი, თუ არა და ისე
ერთანად უნდა გაეგზავნოს ამ ცტრიქონების დამწერას*).
შემდეგ ეს სიტყვები ზოგიერთი პირების თანამშრომ-
ლობით, კინაც კი განაცხადება სურვილს შრომაში
მონაწილეობის მიღებისას, შეჯვეულული იქნებან სა-
უკეთესო ლექსიკონების მიხედვით და ისე იქნებან

*) ძალიან კარგი იქნება თუ ქართულ ენის მასალის
გადათვალიერების დროს, ამოწერილი იქნებინ შესანიშნავი
ადგილები, უძრესობით, ანუ სიმახულით, როგორც ხალხის
ჭირვონების, ზენ-ჩვეულების გამოცდალება—გმიჭრახობის
გამოშხატვები და როგორც ენის მოხერხებული და მდგრადი
გამოშხატვების დამახსხიათებელი. ეს მასალა ზედ-მეტ
შრომას არ მოითხოვს და შეიძლება უფრადდებოდაც არ
დარჩეს; შესაძლოა მნიშვნელობა რამე ექნეს და შემდეგში
რამე სხვა მასალად გამოადგეს ქართულა ენის სიტუაციების.



მოთავსებული, როგორც საუმჯობესო იქნება და შეცეფება. შეეწოდის მასალას. ლექსიკონი უნდა იქნეს რუსულიდამ ქართულად საძიებელი. ამაირად შესრულდება შევი მუშაობა. ამ ლექსიკონის უკანასკნელი რედაქციის დროს და განსაკუთრებით საშევო სიტყვების განსამარტავად მიემართავთ ქართული ენის კარგად მულტე პირებს, რომელნიც, იმედია, არ დამატდლიან თავის გამოცდილებას და ცოდნას ლექსიკონის გაუმჯობესების მოხმარებას. უკანასკნელი რედაქციის დროსაც, ზონაარსის სხვა-და-სხვა ნაწილებიც უფრო დაკიტოვებით იქნებან შედგენილნი, მასალაც საუკეთესოდ იქნება მოთავსებული ლექსიკონის გულ-შემარტივიან პირებისაგან. ამასთანავე ის სამეცნიერო სიტყვები, რომელთაც ვერ ვნახავთ ასეთი განხილვის შემდეგ ჩვენს ლიტერატურაში, ენის მკოლეოთაგან და საგნის ზემომიწვნით მულტე პირების დახმარებით შეიძლება იქნეს საერთო სურვილისამებრ და გარდაწყვეტილებისამებრ განმარტებულნი და საბოლოოდ შემოღებულნი ქართულს ენში სახმარად. ერთის სიტყვით, თუ მასალა კარგად და ბლობად იქნება შეგროვილი, მაშინ მომეტებულ წაქეშებით მოყენდება ყოველი კაცი ამ საქმეს და ასეთი შევი, სანქციონი მუშაობის დამთავრების შემდეგ არავინ, ენის მოყვარული, არ დაამაღლის ამ სიტყვების გასასალაშინებლად საჭირო შრომას.

რაც შევხება ამ ნაშრომის დაბეჭდებას, ამ ლექსიკონის დასაბეჭდები იმექონება წყარო ათას მანეთამდე, რომლითაც ადეილად დაიბეჭდება წიგნი. წიგნის მოვებაც ამ ათასი მანეთის გამომღების იქნება. რაღანაც ამ ემად. ნიერთიერ დაბრკოლებიდან თავისუფალი ვართ, თავი და თავი საქმე მუშაობის დაჩქარებაზე და დამთავრებაზე დამოკიდებული.

მართალია ძნელი საქმეა და შრომისაკენ უზომოს მორთხებს, მაგრამ სჯობს აღრევე და საბოლოოდ შეუდევთ საქმეს. თუ ეხლავე არ ეშველა როგორმე საქმეს, იმ შემთხვევაში ენის ცოდნაც თანდათან იკლებს ქართველების ნასწავლ პირებში და მუდმივი ბორბიკობით და მხოლოდ საყველ-პუროდ ქართული ენის ცოდნით არავითარი წარმატება არ მიეცემა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას. თან-და-თან ლიტერატურა აჭრელდება აღელლ დარეული ტერმინების შემოღებით, ახალგაზიდობა საერთო სახელმძღვანელოს მოკლებული თავისი სურვილისამებრ, გარულით, შემოღებს სხვა-და-სხვა ახალ, უხერხელ სიტ-

ყვებს. ასეთი არევ-დარევით ქართული საზოგადოება სრულებით ვერ შეისწავლის სამეცნიერო ქართულს ენას და ამნაირადე არც სამეცნიერო ლიტერატურა ისულდებულებს ჩვენში, იგი გახვება მხოლოდ რამოდენიმე ქურუმების საფალალო საგნად. ძევლი, კარგი სიტყვები, ქართული ენის ზემომიწვნით მულტე პირებისაგან წინად შემოღებულნი, ჩვენთვისაც დაკარგული იქნებიან და შთამომავლობისთვისაც; ლიტერატურის ასპარეზზედ თუ მათ არავინ შეიტანს ხმარებაში, დაუწევებას მიცემულნი, სხვა უხერხელ და უმართლო სიტყვებს დაუთმობენ ალაგს და ამა. ირად მხოლოდ არხიერებში ხაეს მოღებულ სიტყვებად დარჩებიან. ეს შედეგი თავიდამ აუცილებელია, და მაგალითებიც ეხლავე ბლობად გვაქვს თვალის წინ, თუ დროით არ ეშველა საქმეს და არ შეგროვდა ფამთავითარებისა გამო მიფერაფლილი, გაფანტული სიმღიდრე ენისა. შეიძლება ეს პირველი ნაშრომი შეცდომებიანიც იქნეს, მაგრამ სულ დაკარგებას სიტყვებსისა ისევ მათი თვალსაჩინოდ აღმოჩენა უჯობს. მაშინ, როდესაც თითქმის ყოველი ქართულ ენაზე დამარტინებული ტერმინი ერთად შეგვუფული წარსდგება მკითხველის თვალის წინ, მაშინ კაცს ჩრდილაც დაება ქართული ენის სიმღიდრისა (რომელსაც სამწყაროდ ამ ემად მოკლებულია უმეტესი ნაწილი ქართული საზოგადოებისა), მის შესწავლასაც ბევრი გამოუჩინდება მსურველი, რადგანაც მაშინ ეს სურვილი ნაყოფის მომცემი იქნება და კრიტიკაც მაშინ უფრო ადეილად დასდებს თავის მსჯავრს ამ მასალას. საჭიროა მხოლოდ ჯერჯერაობით შევი მუშაობა დამთავრდეს ე. ი. შეიკრიბოს ჩვენი ენის სამეცნიერო სიტყვების მასალა და, შეცდომებიანიც რომ იქნეს ეს პირველი ცდა, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ უხერხელ და უმართლო სიტყვა ჩამორჩება ენას და მოკლება და კარგი, ჭრშმარიტი, ტერმინი მაინც არ მიყრულება და არ დაეკარგება ენას.

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი ახალგაზიდობა არ დამაღლის თავის სამშობლო ენის გამღილრებას

ცოტადენ შრომას და თავის მხრით ყოველი, ენის გულშემატკიცარი პირი, შეიტანს ცოტადენ წვლილს ამ შრომაში, რომლის მიზანიც საკმაოდ წამქებელი უნდა იყოს უმრავლესობისათვის. ამგვარი საერთო შრომით ჩვენ გავიადებილებთ და თავიდამაც ავიტოცილებთ იმ განსაკლელს, რომელშიდაც ვარდება ყოველი ქართველი სამეცნიერო წერილის შეთხვის ანუ გადმოქართულების დროს, გავამდიდრებთ ენას, მეტს ძალიონებს მიერცემთ ქართული ენის სამეცნიერო ლიტერატურას, ჩომოვაშორებთ მას, ამ ემად ღვარძლად ვარებულს, უხერხელს სიტყვებს, და ამ გასუფთავებულ ნიადაგზედ შეგვიძლია დარწმუნებით ესთქათ, თუ კი მივიღებთ სახეში ახალგაზღობის აწყურლოვანილებას, შეიძლება დაგვებადოს სამშობლო ენაზედ მეცნიერებაც, რომელიც ლიტერატურასაც გაამდიდრებს, შეითველებაც მიიჩიდას, ხალხშიც ფესვებს გაიდგას და შთამომავლობასაც ხელმძღვანელ და დაუშრეტელ წყაროდ გაუხდება. *)

გ. ღ.

ჭ. მოხვივი.

P. S. რაც შეეხება ლექსიკონის შინაარსის საბოლოოდ და უკეთ დალაგებას, ამის გარდა წუმეტა ჯერჯერაობით ხაადრიც იქნება და საჭიროც არ არის, რადგანაც, ლექსიკონის გამოცემის წინად, ყოველივე მასალა ისე იქნება შემუშავებული და დალაგებული, როგორც ენის კარგად მცულნენი და საქმესთან დახლოვებული პირნი არჩევენ და გადაწყვეტენ. მხოლოდ, შეიძლება ვინმეს უკეთესი რჩევის მოცემა შეეძლოს სიტყვების შეგროვების გაადვილებათვის; ძალიან მაღლობელიც ვიქნებით, თუ ამ განზრახვას შექმნა სიტუაცია გვაუწყებს ენზე და სიხარულითაც მიყემხრობით საზოგადოდ ვარჩეულ და სასარგებლოდ აღიარებულ რჩევას.

*) შემდეგ წერილში ჩვენ ავნუხავთ იმ წიგნებს და ხელონაწერებს, რომელნც უნდა გადათვალიერდეს.

ჩვენ აქ ვეძებავთ ამ წერილს მხოლოდ რამოდენიმდე პირის ჩემვით, თორებ ბევრი ამნაირად გამოცხადებული გეგმა მიჩინებულა გაზრდში გამოცხადების შემდეგ. მხოლოდ, შეიძლება გაზრდში გამოცხადებით ზოგიერთმა ისეთმა პირმა გაიგოს ეს გეგმა, რომელთანაც ჩვენ პირადათ არ მიგვაწვდებოდა ხმა, თორებ ჩვენ აქ ვეგულისხმობით იმ მცირე წრეს, რომელთანაც ჩვენ პირადათ გვაქეს მოლაპარაკება და განზრახული ჟამის დაწყებაც. თუ ვინმე გამოჩნდება ამ მიზნის თანამდებრძნელი ვსოდოვთ გვაცნობოს თავისი სურვილი იმ ადრესით, რომელიც გამოცხადებული იქნება შემდეგ წერილში.

მ წ ე რ ი ვ ი ძ რ ი ბ ი.

სასიხარულოდ მრავალთა და სამწუხაროდ ზოგიერთთა პირთა ხოლერა, როგორც ეტყობა, თანდა-თან ნელდება. გაქვს ღვთის წყალობა, ზოვიერთებმა კარგა მოითბეს ხელი... ხომები კველგან მილებული იყო თავიდანვე ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლებელად და ხარჯი ამ ბრძოლისათვის არც ხაზინას და არც საზოგადოებას არ დაუზოგავს. ხოლერა თუმცა ნელდება, მაგრამ სოფლებში ეხლაც კი კრებენ გლეხებს და წინადალებას აძლევენ, რომ მათ ექიმი დაიქირაონ და ხოლერიან ავათმყოფთათვის სახლები ააშენონ. ზოგ ადგილას კარგა ბლობა ფული შეკრიბეს ექიმის დასკრიპციებლად. მაგრამ ეს ახერი ხალერა ხომ სრულებით არ ვამოაჩნდა არავის! რა ჰქნას ექიმმა, არ იცის. წაიღოს ფული, რისთვის? არ წაიღოს და როგორ დაკარგოს 300 მანეთი თვეში?.. ჯერეთ კიდევ იმედი აქეთ, იქნება თუ ხოლერა არა ხოლერინა მაინც გამოაჩნდეს ვისმესო. ენახოთ... .

ზოგიერთ ადგილას სანიტარები და ექამები ხოლერიან ავათმყოფების დასწევენ სადგომების, «ბარაკების» დაწვას იჩქარიან. მართლადაც და ეს კარგი უნებებიათ ამ სანიტარებს. კარგი უნებებია მისთვის, რომ საზოგადოება ველა შეიტყობს ამ «ბარაკების» ავკარგიანობას. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ამდენი მობოჭილი ფულებით მშვენიერი სადგომებია გაკეთებული და ხოლერიანები, მშვენიერ თახებში ბრძანდებოდენ ექიმობის დროს. ასა რას შეიტყობდა საზოგადოება, რომ ზოგიერთ ამისთანა «ბარაკებს» არც იატაკი ჰქონდა, არც ჰქრი, არც ერთი, არც მეორე... ამ შენობას ახლო ხომ არ შეიკარებოდა!..

ღიაღ, ძლიერ კარგი იქნება, რომ მაღა დასწევან ეს «ბარაკები» და უცელა ცულცები გერმენის მოყვანეობისას მასთან ერთად დასწვან და განაქარეონ, რომ ბოლოს აღარაენ დაიწყოს ყმელობა. თუ ამ შერით შეში არ არის რატომ, ხწვენ? ამბობენ, ხულემის და კარბოლის სიმეცე ხოლერის ჭიებს ან უკეთ რომ ესთქათ, ექიმების «ბაკილებს» ხოცავს. თუ ეს წამლები ხოლერის სეხს აქრობს, რატომ უნდა დასწავან ეს შენობები და არ შეინახონ მომა-

ვალი წლისთვის! მომელელ ვაცებს და აეათმყოფთა წასაკან ეტლებს რაღაც უზმენ?!.. აღმართ ახალი შენობის გაკეთება ხჯობს მომავალ წელში...»

ეს ხერხი სწორეთ რკინის გზის მოსამსახურეებისაგან არის გადმოლებული. რკინის გზაზე ხშირად ნაბუქი თოვლი რამდენიმე ვერსხედ შეაჩერებს მატარებლის მოძრაობას. «დაიქირავეთ აურებელი მუშები, მიცით, რაც ითხოვონ, ოღანდ გზის ლიანდაგი გაწმიდეთ, უბრძანებენ». «დაეგირავეთ ათასი კაცი, ცუდ ამიდში არაენი იმუშავა დღეში მანეთ ნავლებ; ერთ დღე და ლამეს გზა გაწმინდეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, წუხელი ნაბუქმა ისე ისე გაამართოვლით ლიანდაგი და ამოტომ იმდენი ფულები და იმდენივე მუშებია საჭირო, რამდენიც პირველად შოუნდა ლიანდაგის გაწმენდას, იწერებიან».

ახ გამეორებენ რამდენჯერმე.. და ბოლოს თოვლიც გაქრება და ყველას მაღლობა ეცხადება ერთგული და უანგარო სამსახურისათვის!.. ჰეშმარიტად ბრძანებს საღმრთო წერილი: „მოელი ჰეშეან აცოდეაზე სდგასო»...

* *

საღმრთო წერილი ბრძანებს: «სადაც იყოს მშორებიო, მუნ შეიკრიბონ ორბებია-ო. ჩეენ დაუმატებთ, ხადაც იყოს ფულები, მუნ შეიკრიბონ მუქთა მჭამლები. მოგეხსენებათ, რომ ხოლერის ხმით დიდხალი ფული შეიკრიბა, მაგრამ ყველა მჭამლებს და შეცხლის მოყენერთა მაინც ვერ დაკამაყოფილებს. ამისათვის, ერთ ადგილას, ერთმა უფროსამა მოსამსახური პირთა ჯამაგირი გაუორკეცა, სანამ ხოლერის სულ არ მორილდებაო. გამოცევიტეს უზრები სხვა შოსამსახურებმაც და ილაჯი აღარ არის შემდეგი თხოვნის ქალალდების კითხვით: 『საუგვეველა ზედა ამა და ამა მუხლისა, სწერენ იგინი, და ძალისა გამოას ორმოცდაორი მუხლისა მეთექვსმეტე ტომისა და ამა და ამ უფროსის განკარგულებისა, დავარდებით თქვენ ფერთხო ქვეშე და ვითხოვთ ყოვლად უმორჩილესად, რომ ჯამაგირი გაგეორკეცოთ, რადგან ეიხოცებით. სიმშილით პატარა ბავშვებით და ცოლით სიძირისა გამო სამოვავისა» და სხვა და სხვა... ამისთანა ფულის მოყენეობის სენი ძლიერ გავრცელდა ყველა წოლების მოსამსახურეთა შორის. ზოგიერთებს ისე აუკაწაწდათ კილები ჯამაგირის გაორკეცებაზედ, რომ კრუნჩხეის ქარები დაემართათ. პოლიციის მოსამსახურებზე და ექიმებზე არა ითქმის რა, ლვოის წინაშე, იმისათვის, რომ ისინი

ნიადაგ თავის ადგილზე უნდა იდგენ და, რომ კადეც უნდოდესთ ქალაქს გარეთ წასელა, თავის თანამდებობას ვერ მოშორდებიან, მაგრამ ჩეენ გვაკვირვებს სასწავლებლების მასწავლებელთა კბილების კაწკწიჭამაგირის გათარკუცებაზე ან საჩუქარი ფულის თხოვნაზე. ხოლერის ხმების მიზეზით ამ ბატონებმა კადევ ერთი თოვე განითავისუფლეს თავი მუშაობისაგან და ერთი თოვე მხარ. თემოზე წამოწოლილი იქნებიან და მათ შრომას 20 სეკურიტეტის ჯამაგირის მიღებაზე ხელის. მოწერის მეტი არა შეაღვენს რა. ზოგი მათგანი არხეიანათ ხოველში დაიარება და დროიებს არარებს, ზოგნი ნათესავებში და ზოგნი თავიანთ ხოველის ადგილებში ატაჩებენ დროს. ერთი კითხვით, რისთვის გაუორკეცონ ჯამაგირები ან რისთვის მისცენ შემწეობაში... მისთვის, რომ ყველა თხოვილობს და ისინიც ფეხს აყვენ!..

ჰეშმარიტად ზოგიერთები სახოვადოებაში რიგიან კაცებად მიღებულნი ლამის «პერესელენ ცენს» და მისგავსონ ნიადაგ თხოვნასა და ლიტინში. ჩეენ ვაცნობთ ზოგიერთ მასწავლებელთ, რომელთაც ღილი ფულები აქვთ გასცესხებული სასარგებლოდ, მაგრამ მათ ყველაზე წინ შეიტანეს თხოვნა საჩუქარის მიცემაზე და ხოლერის ხმების გამო. სწორეთ ნამდევილად ამისთანა კაცებზედ თქმულა ანდაზა; 『ერთი ჭირი მარგებელიათ』. ბევრი დალუპა ხოლერამ. (აქ საიდუმლოთ გეტვით, იქნება ხოლერა ზოგიერთ ადგილას არაუკრ შუაშიაც არ იყო). საოცარია მართლა, თდესაში სჯიდენ ყველას, ვინც იტყოდა ხოლერა არის ქალაქშიო. ნიუნივერსიტეტი იმისთვის სჯიდენ, ვინც იტყოდა ხოლერა არ არისო!.. ჩეენში, მადლობა ლმერთს, ყველას უწონებდნენ ხოლერის გამხელას, იყო თუარა მაინც. მაგრამ ამ სენმა ბევრს ჯიბა დაუსქელა და გამდიდრა... ზოგიერთ ექიმებს, აფთიაქერებს და კიდევ სხვებსაც არ ეთქმისთ სწორეთ სამდურავი აქ წელზე...».

— უნდა სთქას კაცმა მართლა, რომ კარგი სარგებლობა მოუტანა ხოლერამ მეგაზეთევებსაც. შეშინებული ხალხი, უნდოდა — არ უნდოდა, მაინც ყიდულობდა გაზეთის ნომრებს. ყველა დიდის სიძმენებით კითხულობდა გაზეთში ხოლერის შესახებ ამბებს, რა სისულელეც უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი. რომ გამოსულიყო ვინმე და დაეწერა: ხოლერის წამალი ნევიაო, დაიჯერებდენ. რასაც დაბეჭდადო, დარწმუნებული უნდა ყოფილიყავი, რომ წაუკითხელი არ დაჩიხებოდა. მხოლოდ ზოგიერთი გაზეთების

რონაირი გაუგებარი ცნობა და ისიც ოფიციალური, ვერ აქხსნა მკითხველებს. რასაც წაიკითხავდი ერთ ღლეს «კავკაზში», იმას წაიკითხავდი «ივერია»-ში. ეს თურმე იმისთვის, რომ ამ ბოლო დროს «ივერია»-ს იჯარით აულია „კავკაზი“-ს დღიური ცნობები მეორე დღეს გადათარგმნოს თავიანთ მკითხველებისთვის. ღმერთ წინაშე, ეს სწორეთ კარგი უნებებია «ივერია»-ს, რადგან მარტო ცნობა იმაზედ: „ეს და ეს პირი წაბრძანდა და მერე უკან ბობრძანდა“, უვლას არ დაკამაყოფილებს.

ერთო რამე ვერ აქხსნა გაზეთებში მკითხველ საზოგადოებას. საზოგადოებას ძლიერ უკაირდა და ვერ გაეგო, თუ როგორ შეიძლებოდა ერთი კაცის სამქაცად გარდაქცევა. კითხულობდენ: ოფიციალური ცნობებიდან ვტყობილობთ, რომ 28 ივლისს თბილისში გახდა ავად სამი, მორჩა თრი, გარდაიცვალა ექვსი.—ქუთასიში გახდა ავად ერთი, მოკედა თრი. ფოთში გახდა ავად სამი, გარდაიცვალა ექვსი, ავად არის შეიძიო!.. რამდენმა მკითხა: ბატონო, რას სწერენ ამას, გახდა ავად ერთი და მოკედა სამიო, ერთი კაცისაგან სამი კაცი გაჩნდა? მე აუჩხენი მათ, აქ იგინი იგულისხმებენ წინანდელ ავად-მყოფებს-მეთქი. შე დალოცვილო, ვინ ჯანაბა გაიგებს, ისინი რას გულისხმობენ. ჩვენ ვერა გავიგეთ რა!.. განა მნ ელია დასწერონ: წინეთ იყო ამდენი, გახდა ავად ამდენი, მორჩა ამდენი და მოკედა ამდენიო». ამ ბოლო ღრის ხომ აჯრე ბეჭდავდენ მეთქი, უპასუხეთ...

**

ამ უშეელებელი ხოლერის დროს «ივერია»-ში წაიკითხეთ შემდეგი დაჯილდება სასულიერო პირთა. ცაშის ეკულების წინ ნამძღვარს დეკ. მ. მეუნარგიას ებობა კერითხი და სხვა». გავკეირდით, ივლისის დამლევს სასულიერო წოდების ჯილდო არ გამოდის და «ივერია»-ში რა საფუძვლით გამოატაცა-მეთქი. დაუკეირდით კარგად და შევიტყეთ, რომ ეს ჯილდოები 15 მაისს გამოტაცებულნი არიან. მართალი რომ სთევას კაცმა, მაინცა და მაინც დიდი დაგვიანებული არ არის!.. ვერ აგვიხსნია მხოლოდ, თუ როგორი კერითხი უნდა იყოს ის კერითხი, რომელიც «ივერია»-ს მიუნიჭებია დეკანზი მეუნარგიასთავის! არ ყოფილა მავალითი, რომ თეთრი სამდედელო პირი კერითხით დაჯილდოებულიყოს. თუ

მაინცა და მაინც კვერთის ბოძება შეიძლება, მღვდელ-მთავრისათვის, მაგრამ თეთრი სამღვდელო პირთავან რუსეთში დიდ დაჯილდოებულ დეკანზებს არ მოულიათ ასეთი ჯილდო და რა საშსახურისათვის უნდა მიეღო კვერთი მეუნარგიას?

გადავათვალიერეთ დაჯილდოების უქაზები, რუსულ ენაზე დაბეჭდილი, მაგრამ არასად აღმოჩნდა ეს ჯილდო. მერე მოვიფიქრეთ, ალბათ «ივერია»-ში წინ-და-წინ შეიტყო ეს ამბავი და ჩეენამდი არ მოუწევია-მეთქი. გაუგზავნეთ წერილი თვითონ მ—ის, მიულოცე კერითხი, და ესთხოვეთ შეეტყობინებია ამ კვერთის დაჯილდოების ამბავი. მეუ—იამ მაცნობა, რომ არაფერი კვერთი მას არ მიულია ჯილდოთ, იმან მიიღო ჯილდოთ ენ ქერი და არა კვერთი. შევადარე 『სახარითელოს მახარებელი』 『ივერია』-ს და მიეხდი, რომ ამ გამოცემათა კვერთი ყოფილი ის, რომელსაც რუსულით ჰქიან პალიცა. მთარემებელს ჰქონებია, რომ პალიცა სიტყვა წარმოსდგება სიტყვის-გან პალე და პალიცა სლავიანურად მიუღია კვერთხად, ჯოხად. ამის მთარემებელი ის სომეხი „ივერიის“ თანამშრომელი გახლაესთ, რომელიც 1891 წელში სემინარიის ჩექეტორმა ნიკოლოზმა მიიწვია თავის გახეთში თანამშრომლად, როგორც ქართული ენის ზედ მიწერით მუოდნე და ილია ხონელთან ერთად გაზეთ 『მწყემსია-სი და მისი რედაქტორის, დაუცხომლად მებრძოლი. ძლიერ გაკეირვებული გართ, რომ 『სასულიერო მახარებელის』 ოფიციალური ნაწილის ქართულ ენაზე ნათარემნებს არ გაღამედ-ვინებენ რომელიმე სემინარიის შეგირდს, ან ამ სემინარიის ეკონომს, რომ ამისთანა შეცდომები არ გაუშვან და საზოგადოებას ენის უცილინარობაზე გული არ გაუტეხონ.. შეიძლება სახეუწყვილი და საფეხულებელი სტატიები კარგად სწეროს ამ სომებმა ვაჭბატონმა, მაგრამ სასულიერო შინაარსის სტატიებს ის ვერ გადათარგმნის, რადგან მისი გონიერისათვის ზოგიერთი სასულიერო საგნები გაუგებარი და შეუტყობელია.

დერილი რედაქტორისადმი.

მამათ დედაქციონ!

უმორიჩილებად გთხოვთ აღგილი მისცეთ ამ ჩეენს წერილს თქვენ პარივემულ გაზეთ 『მწყემსში』. ამას წინად ქ. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა მიემართეთ ამ წელში

გაზეთ „გეორგიის“ საშუალებით იმ პირთ, რომელთაც ვალად ჰქონდათ წალებული ფულები თავის ამხანა-გებისაგან და ესთხოვეთ შეძლებისადაგვარად სესხის დაბრუნება. მაგრამ, როდესაც არაეითარი პასუხი არაენ არ მოვცა, რა დაჯერდით გაზეთში გამო-ცხადებას და დავავალეთ ორს ჩვენ ამხანაგოგანს, რომ მათ კერძოთ მიემართათ წერილით ჩვენი მოვა-ლებისათვის. მოგვაც უმეტნაკლებოთ შინაარსი იმ წერილისა, რომელიც გაეგზავნათ ჩვენგან არჩეული პირებისაგან ყოველ მოვალეს. აი, სხვათა შორის ერთი პირისაღმი მიწერილი წერილი:

მოწალეო ხელმწიფებე!

„თქვენზედ ირაცხება პეტერბურლის ქართველი სტუდენტების ხუთი თუმანი. უმოარჩილესად გთხოვთ მოგვაწვდინოთ ნაწილნაწილად მაინც, თუ ერთად გამოგზავნა ექნ შეიძლოთ. შეიდ ყმაწვილ არაეითარი ცხოვრების სახსარი არ მოეძევებათ“.

ამ ნაირი წერილი გაეგზავნა ბ. რაზიკაშვილს და მისი პასუხი იმდენად შეურაცხმყოფელია ჩვენთვის, რომ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ ეს პასუხი აქვ სიტყვა-სიტყვით და არ მივაქციოთ ამ პასუხზე ქარ-თველი სახოვალების ყურადღება.

ბატონება!

„ფრიად ვწუხარ, რომ თქვენს თხოვნას ვერ ვასრულებ უქონლობისა გამო რასაკირველია და თუნდაც მქონდეს, მაინც არაფერს არ გამოვგზავნი-დოთ. რისთვისო? იქითხათ. იმისთვის, რომ ეგ ფუ-ლი ვალად არ ამიღია სტუდენტების წრისაგან; თუ ვალის თხოვნაა და ვალად ჩასაცდებია ხუთი თუმანი, ამ ვალს ეხლანდელები კი არ უნდა თხოვულობდეთ, ისევ იმათ უნდა ითხოვონ, ვინც ეს ფულები ვაიღო და არა თქვენ, რომელთაც არაეითარი ნაწილი არა გაქვთ ამ 50 მანეთში. ეს ერთი. მეორე: ესთქვათ, ეს მოვე ხუთი თუმანი და გამოგზავნე, რომელი ერთი შმიერი უნდა ვაგაძლისთ იმ ხუთმა თუმანმა! შეიძის კაცსა გვშანო, შემომტირით, — არაეითარი საშუალება ცხოვრებისა არა გვაქსო. მერე რას აკეთებთ მანდ ეგ შვიდი კაცი, შმიერებმა რა უნდა ისწავლოთ? სიმშილ-წყურეილით მიღებულის სწავ-ლისა მე არაფერი მწამა, რაღან ასეთი სწავლა დიპ-ლომით შეიძრალებული მხალედ კუჭის გაძლიშვილ

ფიქრობს და უთქვენ თდაც მრავალი გვივანან კუჭის მსახურნი, შეცლის მაღმერთებელნი. ცხრა მთას იქით სიმშილით არ იხოუბოდეთ და ჩემისთან ლარიბს მომეტებულად არ აღარიბებდეთ, ჩამოხვიდეთ თავის საშობლოში და აქ დაიხოცნეთ, თუ. სხვა ხელობას ვერას მიიღებენ ეგ მშიერნი, ხელები ხომ ასხიათ ტანზე, იმუშაონ და უცხოერონ. თუ ვაჟაფშაველა არა თაყილობს, ხმარობს თოხსა და ნიჩისა, გუთანს იქერს, მაგათ რატომ აღარ უნდა იკარონა?!

თქვენი კეთილის მოსურნე ვაჟა-ფშაველა».

თვითონ ამ პასუხის შინაარსი ბევრ რამდეს უხა-ტაცს გამჭირის მკითხველს და ამიტომ ჩვენ მეტი განმარტება საჭიროდ აღარ მივიმჩნიეთ, მხოლოდ ეთხოვთ «იურიის» რედაქციასაც ამ წერილის გადაბეჭდევას.

პეტერბურლის ქართველი სტუდენტები. და

ახალი აშები და შენიშვნები.

იმერეთის გარემონტურ გაბრიელის სამ-კლასიან დედათა სასწავლებელში 1 ოქტომბრიდამ ამ 1892 წლისა იხსნება ხხოლოდ მოსამზადებელი კლასი. ამ სასწავლებელში უფასოდ მიღებან მარტო იმე-რეთის ეპარქიის სასულიერო პირთა ქალები, ხოლო სხვა წოდების და სხვა ეპარქიის სასულიერო პირნი იხდიან სწავლის უფლებისათვის წელიწადში 30 მა-ნეთს. თხოვნები ქალების მიღების შესახებ უნდა შეიტანონ სასწავლებლის აღმაშენებელი კომიტეტის სახელმძღვანელო. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს: ა) მეტრიკული მოწმობა ანუ აღმოწე-რილობა შობისა და მონათვლისა; ბ) ექიმის მაწ-მობა ყვაეოლის აცრის და მისაღები ქალის ჯანმრთე-ლობის შესახებ და გ) მშობელთა ანუ მზრუნველთა პირობა, რომ მოსწავლეს ექნება ყოველივე სასწავ-ლო ნიეთი და შენიახენ იმ სახით, რა სახითაც ნაჩენები იქნება სასწავლებლის მთავრობისაგან. მო-სამზაფებელ კლასში მიღებენ 45 ქალს. მისაღები ქალის წლოვანება არ უნდა აღემატოს 8—10 წელს. ამ წელში სასწავლებულს სასწავლებელში პანიონი არ იქნება.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მისა-
ლები და განმეორებითი ეგზამინები დაწ-
ყება 20 სექტემბრიდამ, ხოლო სწავლა დაიწყება 3
ოქტომბრიდამ.

* *

რადგან გაჩეთ «მწყემსი»-ს რედაქციისაგან გა-
მოცემული საღმრთო სჯულის სასწავლებელი წიგნი
სამრევლო და საერთო სკოლებისათვის, სრულებით
გაიყიდა, ამიტომ რედაქტია ხელისხმად შეუდგა ამ
საწელმძღვანელოს მეორედ გამოცემას. მეორე გამო-
ცემა ამ წიგნისა შესწორებული და დასურათებულია.
ყველამ იცის, რომ ჩვენი მოსწავლე შეგირდებისა-
თვის ძლიერ გასაჭიროა ხმის ამაღლება რუსულ სიტუ-
ჟების გამოთქმის დროს, ამისათვის რედაქტიამ მოი-
პოვა რუსული ასოცია ხმის ასამაღლებელი ნიშნებით,
რომელი ასოციათაც დაიბეჭდა ეს მეორე გამოცემა.
ეს გამოცემა მხადა იქნება მომავალი თვეის 8 ანუ
10 სექტემბრის და მსურველთ შეუძლიათ მოიპოვონ
ყველა წიგნების მაღანიებში. ფასი მეორე გამოცემისა
იყიდვე იქნება, რაც ლირდა პირველი გამოცემა.

* *

მოგვყეს ნუსხა იმისი, თუ რამდენი კაცი გახდა
ხოლერით აეადა და რამდენი გარდაიცვალა კავაკისის
სხეა-და-სხეა ადგილას, ხოლერის გაჩერიდვან პირველ
ავგისტომდე:

ავად გახდა გარდაიც.

ქ. ბაქოში (6 ივნისიდგან)	2501	— 1934
ბაქოს გუბერნიაში (17 ივნისიდგან)	4714	— 3210
ქ. ტფილის (11 ივნისიდგან)	408	— 188
ტფილისის გუბერ.	1710	— 877
განჯის გუბერნიაში (13 ივნისიდგან)	5486	— 2885
დაღესტნის ოლქში (18 ივნისიდგან)	12559	— 5674
ქუბერნის გუბერნიაში (7 ივნისიდგან)	2644	— 1431
ქუთაისის გუბერ.	(12 ივნისიდგან)	90 — 45
ზაქათალის ოლქში (16 ივნისიდგან)	211	— 133
ყარსის ოლქში (17 ივნისიდგან)	483	— 245
ქ. კავკავში (12 ივნისიდგან)	719	— 308
თერგის ოლქში (26 ივნისიდგან)	16450	— 8039
ყაზანის ოლქში (27 ივნისიდგან)	7161	— 3611
სტაროპოლის გუბ.	(10 ივნისიდგან)	5819 — 3209

სულ 60956 — 31788

* *

რედაქტორი და გამოცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე. დოკ. ცენზური. ქუთაის, 28 ავგустი 1892 წ.
Типографія редакції(П. Д. Гамбашиძе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Ханановыkhъ на Нѣмецкой ул.

გაჩეთი «ივერია» გვაცნობებს: «ეგაზაკი ხასი-
შვილი, ქ. გორის მცხოვრები, რომელსაც ჩამოხარი-
ბის მაგიერად საუკუნო კატორილა პეტრი გადაწყვე-
რილი, მოსკოვიდამ 12 ავგისტოს კუნძულ სახალი-
ნის კუნ სხვა ტუსალებთან ერთად გაუგზავნიათ». იმე-
დია, რომ «ივერია» თავის მკითხველებს თავის დროზე
აცნობებს, თუ როდეს რომელ ქალაქში გაატარე-
ბენ ამ ეგაზაკს....

* *

გაჩეთ „Русск. Вѣдом.“-ში ეკონომიკობთ: «ეზათ
მინისტრის განკარგულებით კუველა კათოლიკე სარ-
წმუნოების მოსამსახურები ბრესტ-ლიტოვსკის რკინის
გზისა გადაყენა იქმნებიან მოსკოვისა და სომოლენს-
კის რკინის გზაზედ. დღეის შემდეგ ბრესტ-ლიტოვ-
სკის რკინის გზაზედ აღარ მიიღებენ მოსამსახურედ
კათოლიკებსთა». საინტრენტო ეროვნულ, ქართველ
მართლ-მალიდებელ მორწმუნეთ მიიღებენ ამ ეზაზედ
მოსამსახურებად, თუ არა?

* *

ამბობენ, რომ ეზათ მინისტრის განკარგულე-
ბით უნდა დაინიშნონ განსაკუთრებითი უფროსები-
სახალხო მატარებლებზეთ. ამ უფროსებს უნდა
ემორჩილებოდნენ მსვლელობის დროს ყველანით.

სწორედ ეს აკლა რკინის გზის მატარებლებს.
მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა თუ
ერთი უფროსი, ოციც რომ დაინიშნონ, მაინც არ-
მოიშლება ის ცალცვა-გლეჭა და ბოროტება, რაც
დღეს ხდება რკინის გზებზე.

რედაქციისაგან: სხვა-და-სხვა საპატიო მიზეზთა
გამო ამ თოვემი თექვსმეტი გვერდის მეტი ეკრ
გამოიცა ჩვენი გაზეთისა.

შ ი ნ ა რ ს ი. თუ იცია დური განეთვილება:
უწინდესი სინდიკის განკარგულება.

სალიტერატურო განეთვილება: როდის მოდება
ბ თლიო ამ უწინეთებას და მავნებელ ჩეულებას.—ამის კომისია
და მისი პედაგოგიკური მოღვაწეობა.—რამდენიმე სიტყვა ქართუ-
ლი ენის მოყვარეთ მიმართ.—მწარე ფიქრები.—წერილი
რედაქციისადმი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—რედაქციიდამ.